პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ივნისი, ოთხშაბათი, 1987 წ. № 108 (9519) ◆ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ი. კ. ლიგაჩოვი თბილისში

**31 მაისს** საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი.

თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჰითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების სარდლობის წარმომადგენლები.

• • •

1 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი მივიდა ვ. ი. ლენინის მოედანზე და ყვავილებით შეამკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები.

ცერემონიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

• • •

ი. კ. ლიგაჩოვი ეწვია თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოს, აქ მიმდინარე რეკონსტრუქციამ, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიღწევას, უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: იწყება „ვლ-15“ მაგისტრალური თორმეტღერძიანი ლოკომოტივების სერიული გამოშვება, რომლებიც ციმბირისა და ურალის რთულ პირობებში სამუშაოდ არის განკუთვნილი.

კოლექტივის წარმატება ნათლად ჩანს, მაგრამ საწარმოს მუშებთან, სპეციალისტებთან და ხელმძღვანელებთან საუბრების დროს, რომლებიც უშუალოდ საამქროებში გაიმართა, ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს. გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. დ. ჩივაძემ გამოყო უმთავრესი პრობლემები.

საწარმოს აქტივთან შეხვედრისას ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ოპერატიულად გადაწყდეს ქარხნის ტექნიკური განახლების პრობლემები, საბოლოოდ მოიშორონ თავიდან მძიმე ხელშრომა და გადააკისრონ იგი მანქანა-მექანიზმებს.

განახლების პროგრამა, რომლითაც თბილისელ ელმავალმშენებელთა კოლექტივი ცხოვრობს და მოქმედებს, ვრცელია, მისი მიზნები კონკრეტულია, მთავარია, არ მოვუკლოთ მუშაობას, გავაძლიეროთ მისი ტემპი და ზუსტ ორიენტირად ვიქონიოთ გარდაქმნის მოთხოვნები.

თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება. პრაქტიკულად მთელი სასურსათო ნედლეული აქ საქმეს ხმარდება. უნარჩენო ტექნოლოგიას, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა ფართო გამოყენებას არაერთგზის გაუყვანია საწარმო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ლიდერთა შორის.

გაერთიანების მეთაურ საწარმოს ეწვია ი. კ. ლიგაჩოვი, მუშებთან, ინჟინრებთან, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საუბრების დროს მთავარი ყურადღება მიეპყრო სასურსათო ნაწარმის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების საჭიროებას.

საქმიანი, პრინციპული საუბარი, რომელიც გაერთიანებაში მიმდინარეობდა, გაგრძელდა ი. კ. ლიგაჩოვისა და პარტიის საქარხნო რაიკომის ბიუროს წევრების საუბრის დროს.

რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შ. შოშიტაიშვილმა, ბიუროს სხვა წევრებმა ილაპარაკეს საქარხნო რაიონის შესახებ, რომელიც 15 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში დიდი ეკონომიკური რეგიონი გახდა და სამრეწველო-სამშენებლო წარმოების მასშტაბის, დარგების განვითარების დონის მხრივ ახლა ერთ-ერთი წამყვანია ქალაქსა და რესპუბლიკაში.

ი. კ. ლიგაჩოვმა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ აქ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ნელა წყდება, არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს. რაიონში არის საწარმო, რომელიც გარდაქმნის ღირსეულ მაგალითს უჩვენებს სხვებს — საწარმოო გაერთიანება — „თბილისრძე“. და საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს, რათა ამ შრომითი კოლექტივის გამოცდილება სხვათა კუთვნილება გახდეს.

ი. კ. ლიგაჩოვთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე და სხვა ამხანაგები.

• • •

საღამოს ი. კ. ლიგაჩოვი და რესპუბლიკის ხელმძღვანელები დაესწრნენ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლს „მეფე ლირი“.

სპექტაკლის შემდეგ ისინი შეხვდნენ მის მონაწილეებს. ი. კ. ლიგაჩოვმა რუსთაველელთა შემოქმედებითს კოლექტივს გულთბილად მიულოცა წარმატება და უსურვა ახალი მიღწევები.

(საქინფორმი).

# ...ოფელი — ...აქართველოს ფალავანი

...რომა პოეტმა ჩვენს სოფელს საქართველოს ფალავანი უწოდა. ...ვალისმეტყველი შედარებაა! თუ ნამდვილ ფალავნობაზე მიდგება ...მე, განა ქართული სოფელი ქართული სპორტის თავანკარა წყარო ... არის? სოფელი არა მარტო მეცნიერებას, ლიტერატურას, კულტურას, ...ლოვნებას აძლევს ბუმბერაზ ადამიანებს, იგი ხალასი სპორტული ...ალანტების აღმზრდელიც არის. ამას მტკიცება არ სჭირდება; ეს იცის ...ყველამ, ვინც კარგად იცნობს ჩვენს ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს. ...ენდა სამწუხაროდ, რაც დრო გადის, თანდათან შრება სოფლიდან ...მომდინარე ქართული სპორტის შენაკადი. ამ ფაქტმა ყველა უნდა ...გვაფიქრობს. სოფელს, ცხადია, აქვს თავისი პრობლემები. სოციალურ-...ულტურულ ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის როლის ...ვულებელყოფის შედეგიც იყო, რომ ახალგაზრდობამ სოფლიდან ...ალაქისკენ იბრუნა პირი. სოფელსა და ქალაქს შორის სხვაობის წაშლის ...ერთ-ერთი პირობა არის ისიც, რომ სოფლის ახალგაზრდებს შევუქმნათ ...ულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ეს ყველამ ...კარგად უნდა ვიცოდეთ, რაც მთავარია, პირველ ყოვლისა, უნდა ...ოდნენ რაიონის, თვით სოფლის ხელმძღვანელებმა. სამწუხაროდ, ...რაგჯერ ახეც ხდება, ზემდგომ ორგანოებში საკითხს აყენებენ, რომ ...რაიონის ცენტრში დაიგეგმოს სპორტული ნაგებობის მშენებლობა. ...საბუთებას რა უნდა, მაგრამ ბაზის გამოყენება, სოფლის ...ახალგაზრდობის ინტერესები? და ახე, ჩახვალ რაიონში, დაგხვდება ...შესანიშნავი სპორტული ბაზა, შესაშედავად თვალსასახარი, მაგრამ ...ამად მდგარი. სოფლებში კი ახალგაზრდებს მარტივი სპორტული ...მოედანიც არა აქვთ, თუნდაც ფეხბურთი რომ ითამაშონ. აი, რამ უნდა ...შეგვაწუხოს ყველაზე მეტად.

...როსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტის შექმნით ახალი ...პერსპექტივები გადაიშალა სოფლის საკეთილდღეოდ. ეს ...ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემებსაც ეხება. რესპუბლიკის ...აგრომრეწვის ხელმძღვანელობა ამ საკითხს მთელი სერიოზულობით ...ეკიდება, უკვე ბევრი რამ გაკეთდა და დავრწმუნდით აგრომრეწვის ...შესაძლებლობებში, მაგრამ თუ ადგილებიდან ინიციატივა უფრო ...აქტიური იქნა, მეტი გაკეთდება. რატომ არ გვაქვს სპორტული კერები, ...რატომ არ გვყავს ფიზკულტურის მეთოდისტი, ან თუ გვყავს, როგორ ...მუშაობს ახალგაზრდებთან, საერთოდ რა არის სოფლის მცხოვრებთა ...შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მოდუნების მიზეზი? ... მთავარი საკითხები, რომლებშიც აუცილებლად უნდა გაერკვეს ...ადგილებზე ყველა ხელმძღვანელი, ვისაც სოფელზე და სოფლის ...კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად ...ევალება, გაერკვეს და კითხვებს კონკრეტული საქმით უპასუხოს. ...თუ გარდაქმნის მოთხოვნების შუქზე გადავავლებთ თვალს სოფლის ...სპორტს, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეიძლება ითქვას — აქტიური ...მოქმედება არ იგრძნობა. არადა, მეტის დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება, ...და ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ ყველამ ერთად და ენერგიულად. ...მოგვწერეთ, გვაცნობეთ თქვენი აზრი, მოგვაწოდეთ თქვენი ...წინადადებანი.

# კვლავ მაია აზარაშვილი

**როგორც** უკვე გაცნობეთ, ტურინში ორ დღეს მიმდინარეობდა იტალია — საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მაია აზარაშვილი, ბესიკ გოცირიძე და ოლეგ სტრიჟაკოვი. ამ სამეულიდან ყველაზე დიდ წარმატებას აზარაშვილმა მიაღწია, რომელმაც 200-მეტრიან დისტანციაზე 22,81 აჩვენა და ყველა მეტოქე ჩამოიტოვა. მაიამ კიდევ ერთი გამარჯვება 4X100 ამანათრბენში მოიპოვა თანაგუნდელებთან ერთად. ოლეგ სტრიჟაკოვი 5-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდა და მეორე ადგილი დაიკავა — 13.56,4. სამწუხაროდ, ბესიკ გოცირიძე შეჯიბრებისას დაშავდა.

# ...და კიდევ სამი პრიზიორი

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით, რომ ლენინგრადში გამართულ იუნიორ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში ორმა თბილისელმა ვალერი პარუნაშვილმა და გურამ მოდებაძემ პირველი ადგილები დაისაკუთრეს.

ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ერთმა მათგანმა — ამირან ტოტიკაშვილმა 60 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მესამე პრიზი ოლეგ რატიანს (78 კგ) და გია ხოსიტაშვილს (65 კგ) ხვდათ წილად.

# „ოქროს“ და „ბრინჯაოს“

აკრობატთა

ახალი წარმატება

**ჯილდოების** ორი კომპლექტი დაიმსახურეს თბილისელმა არმიელებმა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტულ აკრობატთა პირად ჩემპიონატში, რომელიც ლენინგრადში დამთავრდა.

ქალთა ჯგუფურ ვარჯიშებში ოქროს მედლები მოიპოვეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და სვეტლანა მაკალათიამ. ვაჟთა „კვარტეტებს“ შორის მესამე ადგილზე გავიდნენ ემზარ აბუაშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია და ილია გოგორიშვილი.

# ...ფიციალური ...ობები

**სსრ კავშირის** სპორტსახკომში ...ლი მოაწერეს განის ახალგაზრ... ...ბისა და სპორტის საქმეთა სამი... ...ტროს ოქმს 1987-1988 წლებში ...სპორტული თანამშრომლობის შე... ...ებ.

... ორი ქვეყანა გაცვლის გუნ... ...ებს, ჩაატარებს ამხანაგურ შეხვე... ...ებს და ერთობლივ ვარჯიშს ფე... ...ბურთში, მძლეოსნობაში, კრივსა ... სპორტის სხვა სახეობებში. გათვალისწინებულია აგრეთვე მწვრთნელებისა და სპეციალისტების გაცვლა.

• • •

**ამ** დღეებში გაიმართა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც საორგანიზაციო საკითხიც განიხილეს. სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად არჩეულია პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ბ. როგატინი, კომიტეტის წევრებად: ევროპის რეკორდსმენი და ჩემპიონი რ. ემიანი, სსრ კავშირის სპორტსახკომის ტანვარჯიშის სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. არკაევი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი ვ. სავინიხი, აზერბაიჯანის სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე ი. მამედოვი, ყირგიზეთის სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე ე. კუტმანალიევი, რსფსრ-ის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვ. პოვოლიაევი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის სახტელერადიოს სპორტული პროგრამების მთავარი რედაქტორი ა. ივანიცკი, რსფსრ-ის სახალხო არტისტი ი. კობზონი. საქართველოს სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე.

# ...თხი ...ატჩი

...ულ შაბათ-კვირას გაიმართა კა...ლათბურთელ ქალთა რესპუბლიკუ...რი ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**...რუსთავი.** ადგილობრივი გუნდი ...თამაშების ერთ-ერთ ლიდერს ...თბილისის სახელმწიფო უნივერსი...ტეტის კალათბურთელებს მასპინძლობდა. პირველ მატჩში რუსთაველებმა ძლიერ მეტოქეს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ ქულით დამარცხდნენ — 93:94 (39:37). მეორე მატჩი თბილისელებმა უფრო ადვილად მოიგეს — 108:90 (53:43).

**გორი.** სოხუმელმა კალათბურთელებმა ადგილობრივ მეტოქესთან პირველი შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 102:69 (51:31). გორელებმა მეორე მატჩში რევანში აიღეს — 81:77 (34:38).

**ქუთაისი.** მეტოქეებმა აქაც გაიყვეს ქულები. პირველ დღეს ქუთაისის კალათბურთელებმა დაამარცხეს თბილისის „სინათლე“ — 70:65 (36:33), მეორე დღეს კი „სინათლემ“ იმარჯვა — 72:61 (33:29).

**თელავი.** აქაური კალათბურთელები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს მასპინძლობდნენ. თბილისელმა სტუდენტებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — 85:78 (38:33) და 100:80 (45:34).







**31 მაისს** კვლავ ხალხმრავლობა იყო თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — რიყეზე. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით აქ ჩატარებულმა მახობრივმა ღონისძიებებმა, რომლის რამდენიმე ფრაგმენტს დღეს გთავაზობთ, მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

## ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშები

# სოხუმსა და ქუთაისში

**რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ამ დღეებში დამთავრდა ძიუდოისტების, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირები.**

**ძიუდოისტებმა** სოხუმში ისპარეზეს. ფინალურ შეჯიბრებაში [illegible] სპორტსმენები დაუშვეს, რომლებმაც ფინალურ ტურნირებში I–VII ადგილები დაიკავეს. მაყურებლებმა სოხუმის ტატამზე არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა ნახეს. შეჯიბრებამ დაადასტურა, რომ სპორტის ამ სახეობაში საიმედო ცვლა მოდის. პირველ ყოვლისა ქებას იმსახურებენ ქუთაისელი ძიუდოისტები, რომლებმაც არავის დაუთმეს გუნდური პირველობა. მეორე ადგილზე აფხაზეთის წარმომადგენლები გავიდნენ, მესამეზე — თელაველები. როგორც ხედავთ, საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ თბილისისა და გორის გუნდები, წყალტუბოს, ტყიბულის, ორჯონიკიძისა და ზუგდიდის წარმომადგენლებმა კი ჩასათვლელი ქულაც ვერ აიღეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით თამაშების ჩემპიონები გახდნენ ლ. ბერძენიშვილი (თელავი), ვ. ქურასპედიანი (ლენტეხი), გ. ბერიძე (აჭარა), ი. ჯიმშელეიშვილი (ქუთაისი), გ. ლოლაძე (ახმეტა), ტ. პაპკორია (აფხაზეთი), და თ. სვანაძე (ქუთაისი).

„კლასიკოსთა“ ტურნირს ქუთაისმა უმასპინძლა. აქ თავი მოიყარეს რესპუბლიკის 20 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა. გუნდური გამარჯვება აქაც ქუთაისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. მათ საკმაო უპირატესობით ჩამოიტოვეს მეორე და მესამე ადგილებზე გასული აჭარისა და თბილისის კოლექტივები. სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო ხულოელი როლანდ თავართქილაძის, მაიაკოვსკელი რევაზ წიქორიძის, საგარეჯოელ დავით ნანეიშვილისა და სხვათა ჭიდაობამ. თამაშების პრიზიორები 12 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 43 კგ. ო. თავართქილაძე, 46 კგ. [illegible], 50 კგ. [illegible] (სამივე — აჭარა), 54 კგ. რ. წიქორიძე (მაიაკოვსკი), 58 კგ. ვ. ტეტუნაშვილი (ბორჯომი), 63 კგ. დ. ნანეიშვილი (საგარეჯო), 68 კგ. ნ. ალიხანაშვილი (თბილისი), 74 კგ. გ. მშვენიერაძე (ზესტაფონი), 82 კგ. დ. კუპრაშვილი (ქუთაისი), 88 კგ. უ. ქაბულოვი, 97 კგ. ჯ. ხუბაშვილი (ორივე — თბილისი), 115 კგ. დ. მორჩაძე (ქუთაისი).

**ქუთაისშივე** გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაც. აქ ყველაზე უკეთ თბილისელმა სპორტსმენებმა იასპარეზეს და გუნდური გამარჯვებაც მათ მოიპოვეს. მეორე ადგილზე ქალაქ გორის გუნდი გავიდა, მესამეზე — აფხაზეთის ნაკრები. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც გაისად ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში იასპარეზებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს პ. ლისენკომ, ნ. საკიანმა (ორივე — აფხაზეთი), დ. ბელთაძემ (სამტრედია), დ. რჩეულიშვილმა, გ. მაკოევმა (ორივე — თბილისი). ს. კაბისოვმა (ცხინვალი), გ. ხინჩიკაშვილმა, ჯ. მოდოსიანმა (ორივე — გორი), ა. გაბედავამ (სამტრედია), რ. ბუზარიაშვილმა (საგარეჯო), მ. ვალიევმა (თბილისი) და გ. ჯანელიძემ (ქუთაისი).

### ფარიკაობა

**თანატოლთა** საკავშირო შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა ბათუმელმა მოფარიკავემ ანზორ ფრანგულიძემ. კიევში გამართულ მოსწავლეთა ტურნირზე, რომელშიც რამდენიმე რესპუბლიკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მან ყველას აჯობა რაპირისტთა შორის. ამ დისციპლინაში გუნდური პირველობა საქართველოს ნაკრებს ხვდა.

გოგონათა შორის III ადგილზე გავიდა თბილისელი თეონა გალუაშვილი. ხოლო საქართველოს გუნდმა ასევე III ადგილი დაიკავა.

## შეპასუხება დაბეჭდილს

# „გარდატეხა მოხდა, მეტს მოველოდით“

**რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო**

„ლელოს“ 1987 წლის 1 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილში („გარდატეხა მოხდა, მეტს მოველოდით“) საუბარი იყო საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობაზე, ამ სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

ახლახან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდან მივიღეთ საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადებების გათვალისწინებით, რომელიც წინასწარ განხილული იყო სამინისტროს 1986 წლის 15 მაისის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 3 მარტს მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“. დადგენილებაში დასახულია ბევრი პრაქტიკული ღონისძიება, გადაწყვეტილია ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და საბინაო საექსპლუატაციო ორგანიზაციების შემოსავლების ანარიცხების ხარჯზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატებისა და სხვა სპორტული ობიექტების მშენებლობა, ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად, სპორტული ინვენტარის და ფორმების შესაძენად საჭირო ფინანსური წყაროების გამონახვა და ა. შ. სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, რესპუბლიკის სპორტსახკომის, გაზეთ „კომუნისტის“ და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საცხოვრებელ ადგილებში გაშლილ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ მუშაობას.

რესპუბლიკის ბევრ რეგიონში ამ სფეროში მუშაობის დაბალი დონე იმითაც იყო განპირობებული, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის გასაფართოებლად არ გააჩნდათ საკმაო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სამინისტროს კოლეგიამ ძირითადად სამართლიანად და ობიექტურად სცნო გაზეთ „ლელოს“ 1987 წლის 1 აპრილის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში („გარდატეხა მოხდა, მეტს მოველოდით“) გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ სწორი არ იქნება ყველა ნაკლოვანება მთლიანად საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიეწეროს. მოგეხსენებათ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 მარტის № 98 დადგენილებით რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში პასუხისმგებლობა სამინისტროსთან ერთად ეკისრებათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც თავიანთ ბალანსზე აქვთ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდი, განაგებენ საფინანსო სახსრებს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და რომელთა უშუალო დაქვემდებარებაშია საბინაო-კომუნალური ორგანიზაციები.

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო მათთან ერთობლივი მუშაობის საფუძველზე შეძლებს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ სპორტული საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

**ზ. დოლიძე,**
**მინისტრის მოადგილე.**

**რედაქციისაგან:** საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ რედაქციას პასუხთან ერთად გამოუგზავნა სხვა მასალებიც. მდგომარეობის ობიექტურ ანალიზთან ერთად მათში გამოკვეთილია მუშაობის გარდაქმნის გეზი. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო 1987–1988 წლებში სამინისტროს სისტემაში რესპუბლიკის 10 რეგიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატების დაპროექტების ნუსხამ. შედგენილია სია და დადგენილია თანხა, რომელიც რესპუბლიკის ცალკეულმა ქალაქებმა და რაიონებმა უნდა გადარიცხონ სამინისტროს საბინაო მეურნეობის ანგარიშზე რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებებისთვის. გაანგარიშებულ-დადგენილია ის თანხაც, რომელიც სისტემის ცალკეულმა ორგანიზაციებმა უნდა გაიღონ ანარიცხებიდან, ამ თანხების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის გამოსაყენებლად. დაგეგმილი და შემუშავებულია აგრეთვე სპორტული ბაზების ტექნიკური მოწესრიგებისა და 3-პროცენტიანი ანარიცხების გამოყენებით ფიზკულტურულ-სპორტული ობიექტების მშენებლობის (მოწყობის) გეგმები.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ პრინციპიალური შეფასება მისცა სისტემაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის მდგომარეობას, მიღწეულია გარკვეული შედეგები. იმედია, ამგვარი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს სრულ და საბოლოო გარდაქმნას.

მკითხველებს პრაქტიკულ მიღწევებზე დროდადრო მოვუთხრობთ.

## ლახტის წრეში

# დაუჯერებელია?!

ერთადერთი შესაძლებლობა, რასაც ცხინვალის № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელები ნორჩების ფიზიკური აღზრდისთვის იყენებენ, ეს არის მოკლემარშრუტიანი ლაშქრობა ბუნების წიაღში და იქ გამართული თამაშები. პატარები ზოგჯერ ბაღის ეზოშიც სეირნობენ ველოსიპედებით. ეს არის და ეს. თვით შენობა (ხის ბარაკი) თავის დროზე № 1 საბავშვო ბაღის სამზარეულო-საკუჭნაოდ აშენდა. მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით 1962 წელს საჭირო შეიქნა მიკრორაიონში კიდევ ერთი ბაღის გახსნა და... მისთვის სწორედ ის საკუჭნაო გამოყვეს. აქ ისეთი სივიწროვეა, სადილის შემდეგ სწრაფად მიალაგებენ ხოლმე მაგიდებს და ახლა საწოლებს შლიან, რომ პატარები დააძინონ. ეს კიდევ არაფერი, უფროს ჯგუფს საკუჭნაოსა და სამრეცხაოს შორის გამოთავისუფლებულ სარდაფში აძინებენ, სადაც იატაკის მოვალეობას მიწაზე დაყრილი რამდენიმე ფიცრის ნაჭერი ასრულებს და წყალიც ჩამოდის.

საბავშვო ბაღებში ხშირად დადიან კომისიები, ჩამოდიან ცენტრიდანაც, მაგრამ ამ ბაღს (№ 3) ყოველთვის ჭიუტად უვლიან გვერდს. ვინ იცის, რამდენი წელიწადია აქ ხელმძღვანელთაგან არავის შეუხედავს და საკითხის შესწავლით საქმიანად არავინ დაინტერესებულა.

**ლეილა ხუბელიანი.**

ცხინვალი.

# რეკორდები სან-ლუის სტადიონზე

**როგორც უკვე იცით, პერუში იმყოფებოდა საქართველოს სპორტული დელეგაცია, კერძოდ, მძლეოსნები და მძლეოსნობის სპეციალისტები. ჩვენი სპორტსმენები დიდი წარმატებით გამოვიდნენ ამ ქვეყნის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებებში. მათი შედეგები უკვე გაცნობეთ, დღეს კი გთავაზობთ დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ევგენი გაგუას შთაბეჭდილებებს.**

საკავშირო სპორტსახკომმა ხელშეკრულება დადო პერუს სპორტის მესვეურებთან დელეგაციათა გაცვლის შესახებ. თავიდანვე, ჯერ კიდევ ზამთარში, როდესაც საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარი დგება, არჩევანი ჩვენზე შეჩერდა.

რასაკვირველია, საკავშირო სპორტსახკომს თავისი აზრი აქვს საქართველოს მძლეოსნების წარმატება-წარუმატებლობის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ასე, ცალკე გუნდად, დიდი ხანია არ ვყოფილვართ საზღვარგარეთ.

დელეგაციაში ათნი ვიყავით. ექვსი სპორტსმენი: მაია აზარაშვილი, ზურაბ მემარნიშვილი, ტარიელ ბიწაძე, ბესიკ გოცირიძე, ვახტანგ მინაშვილი და ახალგაზრდა თბილისელი თარჯმორბენალი ვიაჩესლავ ვასილიევი. ვფიქრობ, ეს სახელები უცნობი არ უნდა იყოს ჩვენი მძლეოსნობის მოყვარულებისთვის. გუნდს ვახლდით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე, სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი გივი გამყრელიძე, საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი ტარიელ ბახტაძე, ტარიელ ბიწაძის მწვრთნელი თამაზ ჭედია და მე.

ლიმაში მართლაც კარგად მიგვიღეს. ევროპელი მძლეოსნები ჩვენამდე იქ თურმე საერთოდ არ ყოფილან და არც მეზობელი ქვეყნების სპორტსმენთა ხშირი სტუმრობით არიან განებივრებულნი. ადრე მძლეოსნური სტადიონიც არ ჰქონიათ და აბა, ვის მიიწვევდნენ?

ჩვენ კი დაგვხვდა გერმანელი სპეციალისტების მიერ მოწყობილი სან-ლუის სტადიონის შესანიშნავი მძლეოსნური სექტორი, რომელიც შარშან ჩამდგარა მწყობრში. ახალი სპორტული სარბიელის გახსნის დღეს პერუელებს მძლეოსანთა დიდი შეჯიბრება ჩაუტარებიათ ლათინური ამერიკის 15 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მასპინძლები ინტერესით ესწრებოდნენ ჩვენს ვარჯიშებს, ყველა ადგილობრივი გაზეთი ვრცლად გამოეხმაურა ჩვენს ჩასვლას.

სავარჯიშოდ შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს: სან-ლუის სტადიონი ჩვენს განკარგულებაში იყო, ვცხოვრობდით საუკეთესო ოტელში, წყნარი ოკეანის პირას. ტრანსპორტიც გამოგვიყვეს. ერთი სიტყვით, ნაყოფიერად შეგვეძლო დრო გამოგვეყენებინა. ჩვენ იქ ძირითადად ვარჯიშს ვაპირებდით და არ გვეგონა, რომ ორ შეჯიბრებაში მოგვიხდებოდა გამოსვლა. ეს მასპინძელთა აზრი იყო და ჩვენ, რასაკვირველია, დავყაბულდით, იქაურ მძლეოსნებთან ორი ამხანაგური მატჩი გაგვემართა.

შეჯიბრების პროგრამა ჩვენი სურვილის მიხედვით შეადგინეს. საქართველოს ექვსეულს პერუს საუკეთესო მძლეოსნები ხვდებოდნენ და, ტრაბახით არ ვამბობ, ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. ლიმის მცხოვრებლები პირველად გახდნენ ასეთი მაღალი შედეგების მოწმენი. როგორც ვთქვი, შარშან სან-ლუის სტადიონმა 15 ქვეყნის მძლეოსნებს უმასპინძლა, მაგრამ მათგან ვერავინ შეძლო სპრინტში, თარჯრბენსა და ბირთვის კვრაში დაუსწრებლად გაჯიბრებოდა აზარაშვილს, გოცირიძეს, მემარნიშვილს, ვასილიევსა და ბიწაძეს. ჩვენი დელეგაციის წევრთაგან სან-ლუის სტადიონის რეკორდსმენთა სიაში მხოლოდ მინაშვილი ვერ მოხვდა. პერუში გამართული შეჯიბრება მისთვის სეზონის პირველი ტურნირი იყო და ამიტომ 7,50 მეტრზე უკეთესი შედეგი ვერ აჩვენა.




მასპინძლები სტუმართა ოსტატობით აღტაცებულნი დარჩნენ, ქების სიტყვებს არ იშურებდნენ. ჩვენს გამოსვლას დადებითად აფასებდნენ მემარჯვენე ბეჭდვითი ორგანოებიც კი.

ჩემმა მოწაფეებმა — აზარაშვილმა, გოცირიძემ და მემარნიშვილმა იმ პერიოდისთვის დაგეგმილზე ცოტა უფრო მაღალი შედეგები აჩვენეს, მაგრამ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ ეს ალბათ მოსალოდნელიც იყო. ამ სპორტსმენებმა პერუდან დაბრუნების შემდეგ წახკაძორშიც დაამტკიცეს თავიანთი მზადყოფნა. ლიმაში ორივე შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ტარიელ ბიწაძემ, ვიაჩესლავ ვასილიევმა და ვახტანგ მინაშვილმა.

### ტურნირის ექო

ბოლოს, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმ განსხვავებაზე, რაც სპორტსმენის შედეგის ხელისა და ელექტრული წამზომით ფიქსირების დროს შეინიშნება. ელექტროწამზომი 0,25 წამით „აუარესებს“ დროს. ეს დებულებაშიც წერია. 100 მეტრზე რბენაში მაია აზარაშვილის საუკეთესო დრო ელექტროწამზომით არის 10,20. ესე იგი, რესპუბლიკის ახალი რეკორდის დასამყარებლად ხელის წამზომის მიხედვით მან უნდა აჩვენოს არა 11,0, როგორც ლიმაში, არამედ — 10,9. პერუში გოცირიძემ ზუსტად 10 წამში გაირბინა 100 მეტრი, რაც რესპუბლიკის რეკორდია. ამ შედეგის გასაუმჯობესებლად სპორტსმენმა ელექტროწამზომით 10,24 მაინც უნდა აჩვენოს. ამავე მიზეზით მაიას მიერ ლიმაში 200-მეტრიან დისტანციაზე ნაჩვენები შედეგი — 22,3 წამი — რეკორდად ვერ ჩაითვლება. რეკორდია ის შედეგი, რომელიც მან ტაშკენტში, IX საკავშირო თამაშების დროს აჩვენა, კერძოდ, 22,51 წამი.

**ესაუბრა გიორგი ჩოხიშვილი.**

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

# ნორვეგია—სსრ კავშირი

**დღეს** ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან III ჯგუფის გუნდები: ნორვეგია — სსრ კავშირი, ისლანდია — გდრ.

ჯერ გადავხედოთ. ჩვენს შესარჩევ ჯგუფში შექმნილ მდგომარეობას:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| გდრ | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| საფრანგეთი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |

როგორც ხედავთ, საბჭოთა ფეხბურთელებს საუკეთესო პოზიცია უკავიათ თავიანთ ჯგუფში, ისინი ლიდერობენ ყველა მაჩვენებლით, ჩვენი გუნდის წამყვანი მდგომარეობა განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, რაც 29 აპრილს კიევში დავამარცხეთ გდრ-ის ნაკრები (2:0), მაგრამ ამჟამინდელი 3-ქულიანი უპირატესობა, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არაა იმის სრული გარანტია, რომ გუნდს განაღდებული აქვს პირველი ადგილი, ევროპის ჩემპიონატის ფინალში კი გადის მხოლოდ ერთი გუნდი — გამარჯვებული. ამდენად, დღევანდელ შეხვედრას ნორვეგიელებთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მით უმეტეს, რომ ნორვეგიის გუნდს მარაგში 2 მატჩი აქვს, თავის მინდორზე კი იგი, როგორც წესი, წარმატებით თამაშობს. თუ ნორვეგიელებმა მარაგში დარჩენილი ეს ორი მატჩი მოიგეს, სატურნირო ცხრილში ისინი მეორე ადგილს დაიკავებენ. ნორვეგიელთა საუკეთესო მოთამაშეები გამოდიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის უძლიერეს პროფესიულ კლუბებში და როცა ისინი ეროვნულ ნაკრებს უბრუნდებიან, ეს უკვე სოლიდური ძალაა.

ფინალში მოხვედრის შანსი III ჯგუფის არც ერთ წევრს არ დაუკარგავს, კერძოდ, ფრანგებს მიაჩნიათ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება 9 სექტემბრის მატჩს სსრ კავშირის გუნდთან, მაგრამ ეს თამაში ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება; ამდენად, საბჭოთა ნაკრები კვლავინდებურად უპირველეს ფავორიტად რჩება. მაგრამ, მაინც მან ძალების სრული დაძაბვით უნდა ჩაატაროს ჯგუფში დარჩენილი ოთხივე მატჩი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ნორვეგიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის საკავშირო ტელევიზია ! პროგრამით ნორვეგიიდან გადასცემს 23 საათიდან თბილისის დროით.

## ჩვენი მეტოქე

**ყოველი** ახალი წლის დამდეგს ქვეყნდება ევროპის საფეხბურთო ეროვნული გუნდების „რანგ-ლისტი“ და ამ სიებში ნორვეგიელებს ყოველთვის მოკრძალებული ადგილი უჭირავთ. როცა ბერლინის „დი ნოიე ფუსბალვოხემ“ კონტინენტის გუნდები ძალის მიხედვით 5 ჯგუფად დაჰყო, ნორვეგიელები ბოლოსწინა მეოთხე ჯგუფს მიაკუთვნა (აქვე არიან ისლანდიელები, ირლანდიელები, ალბანელები, ფინელები, შვეიცარიელები), მაგრამ ჟურნალი იმასაც წერდა, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები უიმედო აუტსაიდერები არ არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ მინდორზე თამაშობენ.

ნორვეგიის ნაკრებს სადღეისოდ ევროპის ჩემპიონატის სულ ორი შესარჩევი მატჩი აქვს ჩატარებული: ოსლოში ფრედ (0:0) ითამაშა გდრ-ის გუნდთან და სიმფეროპოლში წააგო საბჭოთა ფეხბურთელებთან — 0:4. საერთოდ, ნორვეგიის ნაკრები წლის განმავლობაში ცოტა საერთაშორისო მატჩს ატარებს, ზემოაღნიშნული ორი შეხვედრის გარდა ნორვეგიელებმა შარშან ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა გრენადის ნაკრებთან სენტ-ჯორჯში, ოსლოში სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს (1:0) მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან არგენტინასთან, აქვე ასეთივე ანგარიშით სძლიეს დანიელებს, ბუქარესტში დამარცხნენ რუმინელებთან — 1:3, შემდეგ რუმინეთის გუნდი ოსლოში მიიღეს და ფრედ დაამთავრეს თამაში — 2:2. ასევე ფრედ (0:0) დამთავრდა ნორვეგიელთა მატჩი ოსლოში უნგრელებთან. როგორც ხედავთ, საკუთარ სტადიონებზე „ულევაალზე“ (24.500 ადგილი) და „ბიშლეტზე“ (24.000) ოსლოში ნორვეგიელები არ აგებენ.

გავეცნოთ ნორვეგიის ნაკრების ძირითად მოთამაშეთა „სადარბაზო ბარათებს“.

**ერიკ ტორხვედტი** (გამოდის გფრ-ში. მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“). ძირითადი მეკარე, 27 წლისა, 35 მატჩი ნაკრებში.

**ოლა ბი რიზე** (ტრონდჰაიმის „როზენბორგი“). 25 წლის, 7 მატჩი ნაკრებში. მონაწილეობდა სიმფეროპოლის მატჩში.

**ტერიე კოიედალი** (საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მოლოუზი“). 29 წლის, 46 მატჩი ნაკრებში, დაცვის კარგი ორგანიზატორი.

**ხვეინ ფიაელბერგი** (სტავანეგერის „ვიკინგი“). 27 წლის, 32 მატჩი ნაკრებში.

**ანდერს გიხკე** (გფრ-ის „ნიურნბერგი“). 26 წლის, 23 მატჩი ნაკრებში. ნორვეგიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

**პერ-ედმონდ მორდტი** (თამაშობს შვეციის „გეტებორგში“). 21 წლის, 19 მატჩი ნაკრებში. ხშირად სახიფათოდ ერთვის იერიშში.

**ენარ აახი** („ფკ მოლდე“). 31 წლის, 34 მატჩი ნაკრებში). უწინ მიუნხენის „ბაიერნსა“ და ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში“ გამოდიოდა. გამოცდილი მცველი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შარშან ნაკრებში დაბრუნდა.

**იან ბერგი** („ფკ მოლდე“). 21 წლის, 13 მატჩი ნაკრებში. შუა ხაზის შეუპოვარი მებრძოლი.

**ტომ ხუნდბი** (თამაშობს საბერძნეთში, სალონიკის „ირაკლისში“). 27 წლის, 30 მატჩი ნაკრებში. გუნდის დირიჟორი, აღიარებულია ნორვეგიის №1 ფეხბურთელად.

**კიეტილ ოხვოლდი** („სკ ლილიესტრიომი“). 25 წლის, 12 მატჩი ნაკრებში.

**კაი-ურიკ ჰერლოვსენი** („ფკ ფრიდრიკსტადი“). 27 წლის, 26 მატჩი ნაკრებში. გამოცდილი ნახევარმცველი, თამაშის ორგანიზატორი, მისი კლუბი ნორვეგიის მეორე ლიგაში გამოდის.

**თორე ანდერსენი** (თამაშობს ბუნდესლიგის „ნიურნბერგში“). 23 წლის, 10 მატჩი ნაკრებში.

**სტენ-გლენ ჰააბერგი** („სკ ლილიესტრიომი“). 24 წლის, 1 მატჩი ნაკრებში.

**არნე ლარსენ-უკლენდი** („ბრინი“). 32 წლის, 51 მატჩი ნაკრებში. გუნდის ყველაზე გამოცდილი თავდამსხმელი, თამაშობდა გფრ-ის ბუნდესლიგის სხვადასხვა გუნდებში, მერე პარიზის „რესინგშიც“.

**არნე ხელანდი** („კრისტიან სანდი“). 22 წლის, 11 მატჩი ნაკრებში.

ნორვეგიის ნაკრებს 1978 წლიდან სათავეში უდგას ცნობილი სპეციალისტი ტორ-რესტე ფოსენი. საინტერესოა, რომ მასზე ხანგრძლივი კონტრაქტი ნაკრებთან ევროპაში მხოლოდ ერთ მწვრთნელს, ბელგიელ გი თისს აქვს. ფოსენი პირველ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ნორვეგიის ოლიმპიურ გუნდსაც ხელმძღვანელობს.

**გივი გამრეკელი**

## ფეხბურთის ფედერაციის თასზე

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების III ტურის მატჩები.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 6:2 (3:1).

1 ივნისს მოსკოვში ითამაშეს ადგილობრივმა გუნდებმა — ცსკა-მ და „ტორპედომ“. ფრე — 0:0.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 3 ივნისისთვის**

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 11 | 8 | 0 | 3 | 28-12 | 16 |
| „ჟალგირისი“ | 10 | 4 | 6 | 0 | 10-5 | 14 |
| „დნეპრი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 16-10 | 13 |
| „ქაირათი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 18-15 | 13 |
| „ზენიტი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 17-16 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 9-17 | 12 |
| „შახტიორი“ | 10 | 3 | 6 | 1 | 9-5 | 12 |
| „დინამო“ კ. | 8 | 5 | 1 | 2 | 18-10 | 11 |
| „დინამო“ მნ. | 11 | 4 | 3 | 4 | 17-13 | 11 |
| ცსკა | 11 | 5 | 0 | 6 | 13-18 | 10 |
| „გურია“ | 10 | 4 | 2 | 4 | 10-12 | 10 |
| „დინამო“ თბ. | 10 | 3 | 3 | 4 | 14-16 | 9 |
| „მეტალისტი“ | 11 | 3 | 2 | 6 | 10-16 | 8 |
| „ტორპედო“ | 11 | 1 | 5 | 5 | 4-9 | 7 |
| „დინამო“ მ. | 10 | 2 | 2 | 6 | 6-11 | 6 |
| „არარატი“ | 11 | 1 | 2 | 8 | 11-24 | 4 |

## ფინალში ითამაშებენ

**საფრანგეთში** დასასრულს მიუახლოვდა 16 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში.

რუანში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:0.

რეიმსში თამაშობდნენ იტალიისა და თურქეთის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს იტალიელებმა — 1:0.

ამრიგად, 16 წლამდე იუნიორ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი — იტალია. ეს მატჩი შედგება დღეს პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე. საფრანგეთისა და თურქეთის გუნდები მე-3 ადგილისთვის ითამაშებენ ქ. მონტატერეში.

საერთაშორისო ფეხბურთი: ფედერაცია, ცხრილები

### ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა ხიხონის „სპორტინგი“ (4:0). მადრიდელთა პირველივე შეტევა გოლით დაასრულა უგო სანჩესმა, შეხვედრის მე-16 და 35-ე წუთებზე მანვე კიდევ ორი ბურთი გაიტანა. ბოლო გოლი მარტინ ვასკესის ანგარიშზეა.

მალიორკაში იქაური „რეალისა“ და „ბარსელონის“ შეხვედრის დასაწყისში მასპინძელთა თავდამსხმელი მაგდალენო უხეშად ეთამაშა „ბარსელონის“ მეკარე სუბისარეტას, რომელიც იძულებული გახდა მინდორი დაეტოვებინა. მისი ადგილი ვეტერანმა მეკარემ ურუტიკოეჩეამ დაიკავა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაგდალენო მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გააძევეს. შეხვედრის ბედი „ბარსელონის“ თავდამსხმელის ლინეკერის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. „ესპანიოლმა“ სძლია სარაგოსის „რეალს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 41 | 75:34 | 61 |
| „ბარსელონა“ | 41 | 58:25 | 59 |

### პორტუგალია

ბოლო ტურის შედეგები: „ბრაგა“ — „ბენფიკა“ 1:1, „პორტუ“—„ელვაში“ 6:0, „სპორტინგი“ — „ვიტორია“ (გიმარაეში) 1:1, „აკადემიკა“ — „სალგეირუში“ 0:0, „პორტიმონენსე“ — „რიუ ავე“ 2:3, „ბელენენსეში“ — „შავეში“ 0:1, „ვარზიმი“ — „ფარენსე“ 3:2, „ბოავიშტა“ — „მარიტიმუ“ 5:1.

შემდეგ სეზონში „ბენფიკა“ და „პორტუ“ ჩემპიონთა თასზე ითამაშებენ, „სპორტინგი“ თასების თასზე გამოვა, ხოლო „ვიტორია“, „ბელენენსეში“ და „შავეში“ — უეფას თასზე. პირველი დივიზიონი დატოვეს „სალგეირუშმა“, „ელვაშმა“ და „ფარენსემ“, ხოლო „რიუ ავე“ გადასასვლელ შეხვედრებს ჩაატარებს მეორე დივიზიონის სამ გუნდთან.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 30 | 51:23 | 49 |
| „პორტუ“ | 30 | 64:22 | 46 |
| „ვიტორია“ | 30 | 45:22 | 41 |
| „სპორტინგი“ | 30 | 51:28 | 38 |
| „შავეში“ | 30 | 39:38 | 33 |
| „ბელენენსეში“ | 30 | 53:37 | 30 |

### საფრანგეთი

„ბორდომ“ დაამარცხა „სენტ ეტიენი“ (1:0) და ჩემპიონი გახდა. ბურთი ფარგონმა გაიტანა. მარსელის „ოლიმპიკი“ დამარცხდა „პარი სენ ჟერმენთან“ — 0:2 (სენი და სუშიჩი). ეს მარსელელი ფეხბურთელების ზედიზედ მესამე წაგებაა.

სხვა შედეგები: „ლანი“ — „მონაკო“ 1:1, „ტულონი“ — „ტულუზა“ 3:2, „ნანსი“ — „ლავალი“ 3:0, „ლე ავრი“ — „ოსერი“ 1:4, „სოშო“ — „ბრესტი“ 3:0, „რენი“ — „მეცი“ 0:1, „ნანტი“ — „რასინგი“ (პარიზი) 2:3, „ნიცა“ — „ლილი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 37 | 56:25 | 53 |
| „მარსელი“ | 37 | 52:31 | 49 |

### გფრ

„ბაიერნმა“ ფრედ (2:2) ითამაშა ჰამბურგში. მიუნხენელთაგან ბურთები გაიტანეს მიჰაელ რუმენიგემ და კოგლმა. ასევე ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა „ჰამბურგმა“ „კიოლნთან“.

სხვა შეხვედრები: „ბლაუ ვაისი“ — „ნიურნბერგი“ 1:4, „ფორტუნა“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1:3, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 0:2, „შალკე 04“ — „ვერდერი“ 1:0, „შტუტგარტი“ — „ბოხუმი“ 2:4, „ბაიერი“ (იურდინგენი) — „აინტრახტი“ 1:0, „ვალდჰოფი“ — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 31 | 61:28 | 48 |
| „ჰამბურგი“ | 31 | 60:33 | 42 |

### ბელგია

ბოლო ტურში „ანდერლეხტმა“ სძლია „ბერჰემს“ (5:0), ხოლო „მეხელენი“ სტუმრად დამარცხდა „ბრიუგესთან“ (1:3)

სხვა შეხვედრები: „სტანდარდი“ — „ლოკერენი“ 1:2, „ბეერსხოტი“ — „რასინგ ჟეტი“ 2:1, „შარლერუა“ — „ვარეგემი“ 2:4, „კორტრაიკი“ — „ლიეჟი“ 1:1, „სერანჟი“ — „სერკლ ბრიუგე“ 1:1.

პირველი დივიზიონი დატოვეს „სერანჟმა“ და „ბერჰემმა“, რომელთაც შეცვლიან „სენტ ტრონდი“ და „ვინტერსლამი“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 34 | 82:25 | 57 |
| „მეხელენი“ | 34 | 57:17 | 55 |
| „ბრიუგე“ | 34 | 66:34 | 45 |
| „ლოკერენი“ | 34 | 59:41 | 44 |

### იტალია

თასის ნახევარფინალის პირველ მატჩებში „ნაპოლიმ“ სტუმრად დაამარცხა „კალიარი“ — 1:0, ბურთი მარადონამ გაიტანა. „ატალანტამ“ სძლია „კრემონეზეს“ — 2:0, ორივე გოლი ინკოჩატის ანგარიშზეა.



რეგბი

## მსოფლიო თასისთვის იბრძვიან

**მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასისთვის მებრძოლმა გუნდებმა მორიგი შეხვედრები გამართეს.**

„ა“ ქვეჯგუფის წევრმა ინგლისის ნაკრებმა სიდნეიში დაამარცხა იაპონიის გუნდი — 60:7, ავსტრალიელებმა კი ბრისბენში ამერიკელებს სძლიეს — 47:12 და ახლა ისინი 4 ქულით პირველ ადგილზე არიან. 2-2 ქულა მოაგროვეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა, ვერც ერთი — იაპონელებმა. დღეს ერთმანეთს ხვდებიან ინგლისისა და აშშ-ის, ავსტრალიისა და იაპონიის გუნდები.

„ბ“ ქვეჯგუფში უელსის გუნდმა პალმერსტონ ნორსში (ახალი ზელანდია) მოუგო ტონგას ნაკრებს — 29:16, დანიდინში კი კინაღამ სენსაცია მოხდა: კანადელები უგებდნენ ირლანდიელებს — 19:16, მაგრამ თამაშის დამთავრებისას (15 წუთში) ირლანდიის გუნდმა 4 ლელო, საჯარიმო და არეკნი გაიტანა და გაიმარჯვა — 46:19. ახლა უელსის გუნდს 4 ქულა აქვს, ირლანდიისას და კანადისას — 2-2, ტონგას — 0. დღეს ბოლო ორი მატჩი გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან უელსისა და კანადის, ირლანდიისა და ტონგას გუნდები.

„გ“ ქვეჯგუფში ასპარეზობა უკვე დამთავრდა. არგენტინელებთან სენსაციური მოგების შემდეგ ფიჯის გუნდმა ქრაისთჩერჩში ახალზელანდიელებთან მატჩში 9 მოთამაშე შეცვალა და გამანადგურებელი ანგარიშით — 13:74 დამარცხდა. გამარჯვებულთაგან ფოქსმა ზუსტი დარტყმებით 26 ქულა მოაგროვა. იტალია — არგენტინის მატჩში იტალიელთა დამრტყმელმა კოლოდომ უხეიროდ ითამაშა და გუნდმა აშკარა უპირატესობის მიუხედავად თამაში წააგო—16:25. მესამე ტურში იტალიელებმა დაამარცხეს ფიჯიელები — 18:15. ახალი ზელანდიის გუნდმა კი არგენტინის ნაკრებს სძლია — 46:15, 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში გავიდა. დანარჩენმა სამმა გუნდმა 2-2 ქულა მოაგროვა, მაგრამ პირად შეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მეორე ადგილი და მეოთხედფინალში თამაშის უფლება ფიჯის ნაკრებმა მოიპოვა.

„დ“ ქვეჯგუფში შოტლანდიისა და საფრანგეთის გუნდები ერთმანეთთან ფრედ (20:20) დამთავრებული მატჩის შემდეგ მეტოქეთა დიდი ანგარიშით დამარცხებას ცდილობენ, რათა ბურთების უკეთესი სხვაობით ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავონ და მეოთხედფინალში ახალზელანდიელებთან შეხვედრა თავიდან აიცილონ. შოტლანდიელებმა ველინგტონში სძლიეს ზიმბაბვეს გუნდს — 60:21, ფრანგებმა კი 9 ლელო გაიტანეს რუმინელებთან გამართულ შეხვედრაში და გაიმარჯვეს — 55:12. ბოლო მატჩების წინ (შოტლანდია — რუმინეთი, საფრანგეთი — ზიმბაბვე), რომლებიც გუშინ გაიმართა, საფრანგეთისა და შოტლანდიას 3-3 ქულა ჰქონდათ, რუმინეთს — 2, ზიმბაბვეს — 0.

## ბეისბოლისტთა საკავშირო...

**ტაშკენტში** ჩატარდა ბეისბოლისტთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და ესტონეთის წარმომადგენლები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საავიაციო ინსტიტუტის (მოსკოვი) და „სპარტაკის“ (კიევი) ბეისბოლისტები. გამარჯვება ანგარიშით 18:8 მოსკოველებს დარჩათ. გარდამავალი პრიზი მოსკოველთა გუნდის კაპიტანმა ვიქტორ გრუზდევმა საზეიმო ვითარებაში ჩაიბარა.

მესამე საპრიზო ადგილისათვის გამართულ ბრძოლაში ერთმანეთს ორი ადგილობრივი კოლექტივი „მეტრომშენებელი“ და „ფახთაქორი“ შეხვდა. გაიმარჯვა „მეტრომშენებელმა“ — 9:7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონტინენტის ჩემპიონატი

**დღეს საბერძნეთში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. გავიხსენოთ ამ ტურნირის ისტორია.**

კონტინენტის პირველი ჩემპიონატი 1935 წლის მაისში ჟენევაში გაიმართა. პირველი ჩემპიონია ლატვიის ნაკრები. 1937 წელს ჩემპიონატს რიგამ უმასპინძლა, 1939 წელს კი — კაუნასმა. ორივეჯერ ლიტვის ნაკრებმა გაიმარჯვა (მაშინ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ჯერ კიდევ არ იყო შესული სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს მოხდა 1940 წელს). მეორე მსოფლიო ომის გამო ევროპის ჩემპიონატი არ ჩატარებულა. მხოლოდ 1946 წელს განახლდა იგი. ჩემპიონის სახელი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მოიპოვა.



1947 წელს ევროპის ჩემპიონატი პრაღაში ჩატარდა. ეს პირველობა იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მაშინ შედგა საბჭოთა კავშირის ნაკრების დებიუტი ევროპის ჩემპიონატზე. ყველასათვის მოულოდნელად ოქროს მედლები დებიუტანტებმა დაისაკუთრეს. 1949 წელს ეგვიპტის მთავრობის ანტისაბჭოური საქმიანობის გამო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უარი განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე და ჩემპიონები შეჯიბრების მასპინძლები — ეგვიპტელები გახდნენ. 1951 წელს პარიზში გამართულ პირველობაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაიბრუნა უძლიერესის ტიტული. მას შემდეგ ჩვენი სპორტსმენები ტრიუმფით გამოდიან ევროპის საკალათბურთო მოედნებზე. ისინი თოთხმეტჯერ გახდნენ კონტინენტის ჩემპიონები (რვაჯერ ზედიზედ). ძნელი სავარაუდებელია, რომ უახლოეს მომავალში ვინმე შეძლებს ამ მიღწევის გამეორებას. ევროპის ექვსგზის ჩემპიონია გენადი ვოლნოვი, ოთხგზის ჩემპიონები არიან მოდესტას პაულაუსკასი, სერგეი ბელოვი და ზურაბ საკანდელიძე. საბჭოთა კავშირის ნაკრებს წარმატებით ხელმძღვანელობდნენ პაველ ცეიტლინი, სურენ სპანდარიანი, კონსტანტინე ტრავინი, ალექსანდრე გომელსკი, ვლადიმერ კონდრაშინი, ვლადიმერ ობუხოვი. საბჭოთა გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ კალათბურთელებს: ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, გურამ მინაშვილს, ვლადიმერ უგრეხელიძეს, ზურაბ საკანდელიძეს, ამირან სხიერელს, სერგეი კოვალენკოს, ნიკოლოზ დერიუგინს.

70-იანი წლები ევროპის ჩემპიონატებზე იუგოსლავიის ნაკრების ჰეგემონიის ხანაა. იგი სამჯერ (1973, 1975, 1977) გახდა ჩემპიონი. წარმატება განაპირობა უნივერსალური ცენტრალური თავდამსხმელის კრეშიმირ ჩოსიჩისა და ბრწყინვალე სნაიპერების დრაჟენ დალიპაგიჩის, დრაგან კიჩანოვიჩის, მირზა დელიბაშიჩის, ზორან სლავნიჩის ჩინებულმა თამაშმა. გუნდს უნარიანად უძღვებოდნენ მწვრთნელები მირკო ნოვოსელი და ალექსანდრე ნიკოლიჩი.

1955 წელს ევროპის ჩემპიონატი ბუდაპეშტში გაიმართა. აქ წარმატება მასპინძლებს ხვდათ წილად. ეს იყო უნგრელთა მიერ მოპოვებული უდიდესი წარმატება. შემდგომ წლებში მათ შესამჩნევად დათმეს პოზიციები.

1983 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იტალიის ნაკრებმა (მწვრთნელი ა. გამბა). „სკუადრა აძურას" გამარჯვება მოუტანა დაცვაში ზუსტმა მოქმედებამ და პიერ ლუიჯი მარზორატის და დინო მენეგინის ბრწყინვალე თამაშმა.

## სსრ კავშირი—იუგოსლავია

**ევროპის** კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის პირველსავე დღეს გაიმართება ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი — საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის. ორიოდე სიტყვა ჩვენს მეტოქეზე.

იუგოსლავიის ჩემპიონატი 1945 წლიდან ტარდება. ქვეყნის უძლიერესი კლუბებია: „ციბონა", „პარტიზანი", „ცრვენა" „ზვეზდა", „იუგოპლასტიკა". იუგოსლავია ფიბას წევრია 1936 წლიდან. 60-იანი წლებიდან აქ დაიწყო ნამდვილი საკალათბურთო ბუმი. ეს თამაში სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევს ფეხბურთს. იუგოსლავიელებმა სამჯერ (1973, 1975 და 1977) გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონატში, ხუთჯერ (1961, 1965, 1969, 1971, 1981) დაისაკუთრეს ვერცხლის მედლები, ორჯერ (1963, 1979) — ბრინჯაოს ჯილდოები. ორჯერ (1970, 1978) იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები, 1980 წელს გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. ევროპის ბოლო ორ ჩემპიონატში ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა (VIII ადგილი) და გუნდს ახლა, ბუნებრივია, რევანშის აღება სურს.

საბჭოთა და იუგოსლაველი კალათბურთელები ძველი მეტოქეები არიან. ისინი 16-ჯერ შეხვდნენ ევროპის ჩემპიონატებზე ერთმანეთს, 13 მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა. იუგოსლავიელებმა საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში ბოლო გამარჯვება ათი წლის წინათ ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოიპოვეს — 74:61.

### ევროპის ტურნირებში გამარჯვებულნი

# თასები და მათი მფლობელები

ევროპის ქვეყნების კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლაში წარმატების ყველაზე მეტი შანსი მილანის „ტრეისერს" და ტელ-ავივის „მაკაბის" ჰქონდათ. ამ ორი კლუბის ურთიერთშეხვედრები თასის წლევანდელ გათამაშებაში მეტად უცნაურად წარიმართა. საქმე ის იყო, რომ „ტრეისერმა" თელ-ავივში დამაჯერებლად დაამარცხა „მაკაბი" — 97:75. ჩინებულად ითამაშა ბობი მაკადუმ (30 ქულა), მილანში კი გამარჯვება „მაკაბის" დარჩა — 94:79. ეს წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა კელეინ მეჯის (36 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა.

ფინალურ მატჩს ლოზანაში 10.500 მაყურებელი დაესწრო. თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად წარიმართა და თამაშის დამთავრებამდე სამი წამით ადრე დორიან ჯამცის სამქულიანი სროლა მიზანს ასცდა — 71:69. გაიმარჯვა „ტრეისერმა". 21 წლის შესვენების შემდეგ გუნდმა კვლავ დაისაკუთრა ჩემპიონთა თასი.

იტალიელებს ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ისინი ამ შეჯიბრებაში 60-იან წლებში ჩაებნენ. იტალიის კლუბი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით გამოდიოდა: „სიმენტალი", „ჩინზანო", „ოლიმპიხ-ბელი", „ოლიმპია-სიმაკო", „ტრეისერი". აქვე დავძენთ, რომ 60-იან წლებში ამ გუნდმა თბილისშიც ითამაშა. ეს იყო 1963 წლის 10 მარტს. ანგარიშით 70:65 გაიმარჯვა „სიმენტალმა", თუმცა განმეორებითი მატჩი იტალიაში „დინამომ" მოიგო (74:68) და შემდგომ ეტაპზეც იგი გავიდა (იტალიელებს თბილისელები კიდევ ერთხელ შეხვდნენ 1979 წელს, გაზეთ „უნიტას" ტურნირზე). პირველ სერიოზულ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე იტალიელებმა 1966 წელს მიაღწიეს. გადამწყვეტ მატჩში „სიმენტალმა" ნგარიშით 77:72 დაამარცხა პრაღის „სლავია" და დაეუფლა ჩემპიონთა თასს. როგორც იტალიელი მიმომხილველები აღნიშნავენ, „სიმენტალის" წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ამერიკული ვარსკვლავის, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ბილ რედლის ბრწყინვალე თამაშმა. 1967 წელს „სიმენტალი" კვლავ გავიდა ფინალში, მაგრამ წააგო „რეალთან" — 91:83. იტალიელები სამჯერ ფლობდნენ თასის მფლობელთა თასს (1971, 1972 და 1976), სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს 80-იან წლებშიც. მილანელები სამჯერ გახდნენ იტალიის ჩემპიონები (1982, 1985, 1986). 1983 წელს „ოლიმპიაბელი" კვლავ გავიდა ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში და დრამატული მატჩი წააგო იტალიის მეორე კლუბთან „კანტუსთან" — 68:69. 1985 წელს „ოლიმპია-სიმაკმა" რ. კორაჩის თასი მოიპოვა. ფინალში მან დაამარცხა უარესეს გუნდი. წლეულს იტალიელები კვლავ დაეუფლნენ ჩემპიონთა თასს. გუნდის წამყვანი კალათბურთელები არიან: მაიკლ დანტონი, მარკო პრემიერი, დინო მენეგინი, ბობი მაკადუ, ჯორჯ ბარლოვი, დინო ბოზელი, გუნდს დიდი ხანია წვრთნის ამერიკელი სპეციალისტი დან პეტერსენი.

რ. კორაჩის თასზე „ბარსელონას" გამარჯვებას მოულოდნელს ვერ ვუწოდებთ. გუნდმა ორივე მატჩში საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა უშუალო კონკურენტი „ლიმოჟი" — 106:85 და 97: 88. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი „ბარსელონას" წარმატებას სან-ეპიფანიოს ბრწყინვალე თამაში იყო. პირველ მატჩში მან გუნდს 31 ქულა შესძინა, მეორეში — 24. 80-იან წლებამდე საერთაშორისო სარბიელზე „ბარსელონას" თვალსაჩინო წარმატებისათვის არ მიუღწევია. 1981 წელს იგი თასის მფლობელთა თასის ფინალში გავიდა და დამარცხდა კანტუს გუნდთან შეხვედრაში — 62:86. 1984 წელს „ბარსელონა" ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა, მაგრამ „ბანკო დი რომასთან" მატჩში კვლავ დამარცხდა — 73:79. ბოლო სამი სეზონის მანძილზე „ბარსელონამ" დიდ წარმატებებს მიაღწია — ორჯერ მოიგო თასის მფლობელთა თასი (1985 და 1986), 1985 წელს, მოიგო საკლუბო გუნდებს შორის გამართული მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი, რომელიც ბარსელონაში ჩატარდა. 1986 წელს „ბარსელონამ" სუპერთასი დაისაკუთრა, ხოლო წლეულს კი რ. კორაჩის თასი მოიპოვა. გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან: სალასაბალი, სან-ეპიფანიო, სიბილიო, ხიმენესი, სიმპსონი. ტრუმბო, ბრაიანტი, კოხტა.

**მერაბ კალანდაძე.**



პარტიზანთა სახელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ლისის ტბა) დირექცია აცხადებს მსურველთა მიღებას წყლის თხილამურებისა და ვინდსერფინგის (აფრიანი დაფის) სექციებში.

მეცადინეობა დაიწყება 6 ივნისიდან და ჩატარდება დღის პირველ ნახევარში — 9 საათიდან 12 საათამდე.

ვარჯიშს უხელმძღვანელებენ კვალიფიციური სპეციალისტები.

**კომპლექსის დირექცია.**

# მაინც ფავორიტთა უპირატესობით

**საფრანგეთის** ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა, თუმცა მთავარი პრიზებისათვის ბრძოლას, მაინც ფავორიტები განაგრძობენ.

შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) შვედი იოაკიმ ნიუსტრიომი დაამარცხა — 2:6, 6:1, 5:7, 6:0, 6:2. უიმბლდონის ჩემპიონი ბორის ბეკერი მეოთხედფინალში გავიდა, მანამდე კი მან ჯიმი არიასს (აშშ) აჯობა — 5:7, 6:3, 6:2, 6:0. ახლა იგი მეორე ამერიკელ ჩოგბურთელს, 34 წლის ჯიმი კონორსს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ რიკი ოსტერტუნი (გფრ) დაამარცხა — 4:6, 7:5, 6:0, 6:3.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შვედი მატს ვილანდერი (საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონი) საუკეთესო სპორტულ ფორმაშია, რაც მან ფრანგ ტარიკ ბენაბიდესთან გამარჯვებით დაამტკიცა — 5:7, 6:1, 6:3, 6:3.

ქალთა ტურნირში უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალის პირველი მონაწილენი. 18 წლის შტეფი გრაფი (გფრ) არგენტინელ გაბრიელა საბატინის შეხვდება.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 3 ივნისი.** დილის დაჭერვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: ესპანეთი (ნაკრები) — საფრანგეთი (ნაკრები) — **19.30 (2)** და სსრ კავშირი (ნაკრები) იუგოსლავია (ნაკრები) — **0.50 (1);** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: ნორვეგია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — **23.00 (1),** ველორბოლა „მეგობრობა" — **23.45 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 3 ივნისი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: ნორვეგია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — **23.00;** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: სსრ კავშირი (ნაკრები) — იუგოსლავია (ნაკრები) — **0.50.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(წერეთლის გამზირი № 2)

**7 ივნისი ◆ ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)**

დასაწყისი 20 საათზე

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3 ივნისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 3, 4 და 5 ივნისს. სალაროები ღიაა დილის 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 6 ივნისს.

**დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.**

უამინდობის შემთხვევაში დუბლიორთა მატჩი გაიმართება სხვა სტადიონზე.

## „სპორტპროგნოზის" ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 21-ე ტირაჟის შედეგები, რომლებიც 1987 წლის 23-25 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაუშვეს 5.830.527 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (42) — 4.170 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის კი (570) — 1.202 მანეთი.

21-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 12 ივნისიდან 12 ივლისამდე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06936